ბრძანება N 01-02/64

ქ. ბათუმი 05 აპრილი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“
(2021 წლის საშემოდგომო მიღება)
საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2023 წლის 29 მარტის N257865 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მებაღეობა“** პროფესიული სტუდენტებისათვის **(2021 წლის საშემოდგომო მიღება)** კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
   გ) მანანა პატარაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
   დ) ლეილა ებრალიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა" ხელმძღვანელი;
   ე) დავით ხარაზიშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა" ხელმძღვანელი; დამსაქმებელი (ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე);
   ვ) მამუკა თურმანიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, დამსაქმებელი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი აგრარულ საკითხებში);
2. კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს

რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.

3. კომისიამ იმუშაოს 2023 წლის 07 აპრილს, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები" და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**